<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საზღვაო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 14 ივნისი, 1997, გვ. 10) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **44^1 მუხლის:**

ა)„ფ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას;

ბ) „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) MSC-MEPC.5/Circ.16 ცირკულარი – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 2022 წლის 24 იანვრის ცირკულარი ადმინისტრაციის სახელით მოქმედი აღიარებული ორგანიზაციებისათვის უფლებამოსილების გადაცემის ხელშეკრულების მოდელის შესახებ;“;

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ქ^1$“ ქვეპუნქტი:

,,$ქ^1$) MSC.349(92) და MEPC.237(65) რეზოლუცია - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 2013 წლის 21 ივნისისა და 2013 წლის 17 მაისის რეზოლუცია აღიარებული ორგანიზაციების კოდექსი;“.

2. **44^5 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ევროკავშირის მიერ აღიარებულ ორგანიზაციას უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს წერილობითი შეთანხმების პროექტი. ეს პროექტი უნდა შეესაბამებოდეს MSC-MEPC.5/Circ.16 ცირკულარის მოთხოვნებს. სააგენტო ვალდებულია შეისწავლოს ამ ნაწილის შესაბამისად წარდგენილი წერილობითი შეთანხმების პროექტი, მიიღოს გადაწყვეტილება მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 2 კვირისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ აცნობოს განმცხადებელ ორგანიზაციას.“.

3. **44^{15} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 44^{15}.

წერილობით შეთანხმებას საქართველოს სახელით ხელს აწერს სააგენტო, ხოლო აღიარებული ორგანიზაციის სახელით – მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი. ეს შეთანხმება სრულად უნდა ეფუძნებოდეს IMO-ს MSC.349(92) და MEPC.237(65) რეზოლუციის (Code for Recognized Organizations (RO Code) და MSC-MEPC.5/Circ.16 ცირკულარით გათვალისწინებული მოდელური ხელშეკრულების დებულებებს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**